მობილური აპლიკაციის გამოყენებასთან დაკავშირებული წესები

1. შესავალი დებულებები:

1.1. მხარეთა იდენტიფიცირება. წინამდებარე გამოყენების წესები („გამოყენების წესები“) ადგენს უფლებებს და მოვალეობებს ერთი მხრივ, Livesport s.r.o.-სა (რეგისტრირებული ოფისი: Bucharova 2928/14a, Stodůlky, 158 00 Praha 5, Aspira Business Centre, ჩეხეთის რესპუბლიკა, კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი: 274 33 722, რეგისტრირებულია პრაღის მუნიციპალურ სასამართლოში დაცულ კომერციულ რეესტრში, ფაილის ნიშანი C113331 (შემდეგში „ჩვენ“ ან „ჩვენი“) და მესამე მხარეებს შორის („მომხარებელი“, „თქვენ“, „თქვენი“), მობილური აპლიკაციის გამოყენების დროს.

1.2. გამოყენების წესების მოქმედება: თუ თქვენ წარმოადგენთ აპლიკაციის არარეგისტრირებულ მომხარებელს, ამ შემთხვევაში თქვენზე ვრცელდება წესები აპლიკაციის ხასიათისა და გამოყენების შესახებ, კერძოდ, გამოყენების წესების 1-ლი და მე-2 მუხლები. რეგისტრირებულ მომხმარებლებზე წინამდებარე წესები ვრცელდება სრულად და ჩვენ მოგიწოდებთ გაეცნოთ მათ, განსაკუთრებით 3-დან მე-11 მუხლის ჩათვლით, რომლებიც წარმოადგენს ხელშეკრულებას ჩვენსა და რეგისტირებულ მომხარებელს შორის.

2. აპლიკაციის კონტენტი

2.1. მომსახურების ხასიათი: აპლიკაცია შეიცავს უახლეს ინფორმაციას სპორტული ღონისძიებების შესახებ, კერძოდ, სპორტულ შედეგებთან დაკავშირებულ ინფორმაციას რეალურ დროში, ინფორმაციას ფინალური შედეგის შესახებ, მატჩების, გუნდების შემადგენლობის შესახებ, ასევე სხვადასხვა სპორტული შინაარსის მქონე ინფორმაციასა და სტატისტიკას. აპლიკაციაში წარმოდგენილი შედეგები და სტატისტიკური ინფორმაცია ეფუძნება სხვა დამოუკიდებელი წყაროების (მესამე მხარისგან მოწოდებულ), შიდა წყაროებისგან ან სხვა ოფიციალური პირებისგან მოწოდებულ ინფორმაციას. მიუხედევად იმისა, რომ ჩვენ ვცდილობთ რეგულარულად განვაახლოთ აპლიკაციაში განთავსებული ინფორმაციის შინაარსი და შევამოწმოთ აპლიკაციაში წარმოდგენილი შედეგები ან სხვა სახის ინფორმაცია, ჩვენ არ ვიღებთ გარანატიას აპლიკაციაში წარმოდგენილ ინფორმაციასთან დაკავშირებით და მოგიწოდებთ, აპლიკაციაში განთავსებული ინფორმაცია საფუძვლიანად შეამოწმოთ

ოფიციალური თუ სხვა წყაროების მიერ წარმოდგენილ ინფორმაციის საშუალებით. აპლიკაციაში განთავსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობა და მათი გამოყენება, წარმოადგენს მხოლოდ თქვენ პასუხისმგებლობას. რეგიონის ენის და სხვა გარემოებების მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენს სამიზნე ბაზარზე და აპლიკაციის მომხარებლებზე აპლიკაციაში შეიძლება გაშუქდეს სპორტული ღონისძიებები, რომელიც შედგება მესამე მხარეების კონტენტისგან და შინაარსისგან.

2.2. აპლიკაციის გამოყენება საკუთარი რისკის ფარგლებში. ჩვენ მიერ აპლიკაციაში წარმოდგენილი ინფორმაცია განთავსებულია გონივრულად, სიფრთხილით და წინამდებარე გამოყენების წესების დაცვით. მიუხედავად ამისა, თქვენი წვდომა აპლიკაციასთან, აპლიკაციის გამოყენება, ნებისმიერი პროგრამის გადმოწერა, რომელიც უკავშირდება აპლიკაციას და აპლიკაციასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ წარმოდგენილი ნებისმიერი ინფორმაციის გამოყენებას, წარმოადგენს თქვენ ინდივიდუალურ არჩევანს, დისკრეციას, რისკს და ამასთან, ის არის მხოლოდ თქვენი პირადი გამოყენებისთვის.

2.3. ლიცენზია: წინამდებარე გამოყენების შესახებ წესებთან და პირობებთან შესაბამისობის მიზნით ჩვენ გადმოგცემთ პერსონალურ, მუდმივ, არაექსკლუზიურ, არაგადაცემად, გაუქმებად, არაქველიცენზირებად ლიცენზიას, რომ დააინსტალიროთ და/ან გამოიყენოთ აპლიკაცია თქვენს მოწყობილობაზე, მხოლოდ თქვენი პირადი სარგებლობისთვის.

2.4. რეგისტრაცია და გადახდას დაქვემდებარებული კონტენტი: ჩვენ რეგისტრაციას ვითხოვთ იმ მიზნით, რომ გქონდეთ წვდომა აპლიკაციის კონკრეტულ ფუნქციებზე (გამოყენების შესახებ წესების მე-3 მუხლი). რეგისტრაცია შეიძლება იყოს პირობითი იმის მიხედვით, მიღწეული გაქვთ თუ არა გარკვეული ასაკისთვის. რეგისტრაციის გარეშე, თქვენ მიერ აპლიკაციაში განთავსებული ყველა კონტენტისა და ფუნქციის გამოყენება შესაძლოა, იყოს ლიმიტირებული. გარდა ამისა, გარკვეული ფუნქციების ან კონტენტის ხელმისაწვდომობა შეიძლება დაექვემდებაროს საფასურის გადახდას.

2.5. მესამე მხარის კონტენტი. აპლიკაცია შეიცავს მესამე პირის კონტენტს, რომელიც მიღებულია გარე აპლიკაციებისა და წყაროებისგან, რომელზეც ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელნი. ყველა მესამე მხარის კონტენტი, რომელიც ხელმისაწვდომია ჩვენი აპლიკაციის საშუალებით არ არის გაშვებული, (hosted) ჩვენს სერვერებზე ან არ არის ატვირთული ჩვენს გამშვებ (Hosting) სერვერზე. მესამე მხარის კონტენტი ჩვეულებრივ აღნიშნულია შესაბამისი ლოგოთი, ნიშნით ან მესამე მხარის

მაიდენტიფიცერებელი საშუალებით. ჩვენ აშკარად გამოვირიცხავთ ნებისმიერ პასუხისგმებლობას, რომელიც კავშირშია ასეთ კონტენტთან, მის ხელმისაწვდომობასთან ან მასში განთავსებულ ინფორმაციასთან.

2.6. რეკლამის ჩვენება. თქვენ ეთანხმებით, რომ რეკლამა, მათ შორის მესამე პირების რეკლამა, შეიძლება გამოჩნდეს აპლიკაციაში.

2.7. ურთიერთობა აზარტულ თამაშებთან: აპლიკაციის გამოყენება წარმოადგენს თქვენს რისკს. აპლიკაცია არ წარმოადგენს სათამაშო ან აზარტული თამაშების აპლიკაციას. ჩვენ არ უზრუნველვყოფთ აპლიკაციას თამაშებით ან აზარტული თამაშებით. შესაბამისად, ჩვენ არ ვფლობთ ან ვაკონტროლებთ თქვენს ან სხვის ფინანსურ რესურსებს და არ ვმონაწილეობთ აზარტულ თამაშებთან დაკავშირებულ ტრანზაქციებში. აპლიკაციაში წარმოდგენილი კოეფიციენტები ფსონისთვის წარმოდგენილია მხოლოდ ინფორმაციული მიზნით. აპლიკაციაში განთავსებული არანაირი ინფორმაცია და საკომუნიკაციო საუშუალება არ უწევს რეკომენდაციას თამაშში მონაწილეობას ან ფსონის დადებას, ასევე აპლიკაციაში არაა განთასვებული თამაშებთან და აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული სამართლებრივი, საგადასახადო თუ სხვა სახის რჩევები.

2.8. ადგილობრივი სამართალი: გირჩევთ, რომ იმოქმედოთ იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის დროებითი ან მუდმივი რეზიდენტი ან მოქალაქე ხართ.

2.9. უფლებები კონტენტზე: ტექსტები, ფოტოსურათები, გრაფიკული ნამუშევრები და აპლიკაციის სხვა შემადგენელი ელემენტები სრულად ან ნაწილობრივ დაცულია საავტორო უფლებებით (კოლექტიურად „საავტორო უფლებებით დაცული ნამუშევრები“). საავტორო უფლებებით დაცული საგნის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება ჩვენთან ან საავტორო უფლებებით დაცული ობიექტის სხვა მესაკუთრესთან. კერძოდ, საავტორო უფლებებით დაცული ობიექტის გამოყენება (კოპირება) პირდაპირი ან არაპირდაპირი ეკონომიკური სარგებლის მიღების, გავრცელების, გაქირავების, ან მისი საზოგადოებისთვის ჩვენების (მათ შორის საზოგადოებასთან ინტერნეტის საშუალებით კომუნიკაცია) ან კომუნიკაციის მიზნით დაუშვებელია ჩვენი აშკარა თანხმობის გარეშე.

2.10. მონაცემთა დაცვა: აპლიკაციის მონაცემთა ბაზის კონტენტს („მონაცემთა კონტენტს“) იცავს მონაცემთა ბაზის პროვაიდერის სპეციალური უფლება. მონაცემთა ბაზის კონტენტის გამოყენება ნებადართულია მხოლოდ

კანონის შესაბამისად, თუ ჩვენთან წერილობითი შეთანხმებით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული. კერძოდ, მონაცემთა კონტენტის შინაარსის ან მისი ხარისხობრივად ან რაოდენობრივად მნიშვნელოვანი ნაწილის ამოღება (კოპირება) ან გამოყენება (საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი) დაუშვებელია ჩვენი მკაფიო თანხმობის გარეშე.

2.11. არასანქცირებული ჩარევა: თქვენ არ უნდა გამოიყენოთ რაიმე მექანიზმი, ინსტრუმენტი, პროგრამული უზრუნველყოფა ან პროცედურა, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს ან რომელმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ჩვენი ობიექტების მუშაობაზე, ინტერნეტის ან სხვა ინტერნეტ მომხმარებლების უსაფრთხოებაზე. თქვენ არ გაქვთ უფლება გადატვირთოთ ჩვენი სერვერი, რომელზეც აპლიკაციაა განთავსებული, ავტომატური მოთხოვნებით, ან დაეხმაროთ მესამე პირს ასეთ საქმიანობაში. თქვენ არ გაქვთ უფლება, რამენაირად შეცვალოთ, დაშალოთ, მოახდინოთ დეკომპილაცია ან გადააკეთოთ აპლიკაცია. გარდა ამისა, თქვენ არ გაქვთ უფლება, გამოიყენოთ აპლიკაციის შინაარსი ჩვენი თანხმობის გარეშე მისი ჩანერგვის, აგრეგირების, წაშლის ან ხელახლა შექმნის გზით, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ზოგადად სავალდებულო სამართლებრივი რეგულაციებით.

2.12. დარღვევის შედეგები: თქვენ მიერ საავტორო უფლებების, სასაქონლო ნიშნის გამოყენებასთან დაკავშირებული უფლებების ან მონაცემთა ბაზის პროვაიდერის სპეციალური უფლებების დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

3. მომსახურების ხელშეკრულების დასკვნითი დებულებები

3.1. შეთავაზების წარდგენა. მომსახურების მიწოდების შესახებ ხელშეკრულების დადების წინადადება შეგიძლიათ ღილაკზე „გაგრძელება ელ-ფოსტით“ დაჭერით, განაცხადში განთავსებული სარეგისტრაციო ფორმის მონაცემების შევსებით და გაგზავნით („რეგისტრაციის მოთხოვნა“) დაკლიკვით. თქვენ იძლევით გარანტიას, რომ რეგისტრაციის მოთხოვნის ფორმაში მოცემული ინფორმაცია სწორია წინამდებარე წესების გამოყენების მიზნებისთვის.

3.2. შეთავაზების მიღება: სარეგისტრაციო განაცხადის მიღების შემდეგ, ჩვენ სარეგისტრაციო განაცხადში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე („მომხარებლის მისამართი“) გამოგიგზავნით ყველა საჭირო ინფორმაციას, რომელიც საჭიროა მომხარებლის ანგარიშის

ოპერირებისთვის ან მოხმარების გამოყენებისთვის საჭირო თანხმობის მოსაპოვებლად (თანხმობა). თქვენგან მიღების დადასტურების შემდეგ, მომსახურების ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულად.

3.3. მესამე პირის გამოყენება რეგისტრაციისთვის: თუ არსებულ რეგისტრაციას იყენებთ მესამე პირთან (მაგალითად, სოციალურ ქსელში რეგისტრაციის მიზნით), შესაბამის ღილაკზე დაკლიკვით თქვენ უნდა გამოგვიგზავნოთ შეთავაზება მომსახურების ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელზეც იქნება შესაბამისი ლოგო, სასაქონლო ნიშანი ან მესამე პირის მომსახურების სახელი. წინამდებარე წინადადების მიხედვით, მომსახურების ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადების ჩვენთვის მიწოდების შემდეგ, მოგეცემათ მომსახურებით სარგებლობის უფლება. მომსახურების გამოყენებაზე ნებართვის შემდეგ, მომსახურების ხელშეკრულება ითვლება დადებულად.

3.4. თანხმობა მომსახურების გაწევაზე. თქვენ ეთანხმებით, რომ ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ მომსახურების მიწოდება მომსახურების ხელშეკრულების შესაბამისად მისი დადებისთანავე, მათ შორის მომსახურების ხელშეკრულებიდან გასვლის კანონით დადგენილი ვადის გასვლამდე.

3.5. მხარეთა კომუნიკაციის მიზნით გაწეული ხარჯები: მომსახურების ხელშეკრულების დადებისას თქვენ აცხადებთ თახხმობას კომუნიკაციის დისტანციური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით. მომსახურების ხელშეკრულების დადების მიზნით დისტანციური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებისას დაკავშირებული ხარჯების გაღება გეკისრებათ თქვენ (მაგ. ინტერნეტ კავშირის უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები) და მოცემული ტარიფი არ უნდა განსხვავდებოდეს საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების საბაზისო ტარიფისგან.

4. მომსახურების ხელშეკრულების შინაარსი

4.1. ხელშეკრულების საგანი: მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით, ჩვენ გაძლევთ უფლებას, ისარგებლოთ მომსახურებით აპლიკაციის საშუალებით, ასევე მისი შინაარსით და ფუნქციებით. დამატებით, იმისთვის რომ გქონდეთ წვდომა გარკვეულ კონტენტსა და ფუნქციებზე, შესაძლებელია მოგიწიოთ საფასურის გადახდა, ან ამისთვის აუცილებლად უნდა გქონდეთ მიღწეული გარკვეული ასაკისთვის, ან გაგაჩნდეთ სტაბილური წვდომა ინტერნეტთან ან მხარს უნდა ვუჭერდეთ

თქვენ მიერ გამოყენებული მობილურის ოპერატიული სისტემის ვერსიას.

4.2. ხელშეკრულების შინაარსი: „გამოყენების შესახებ წესები“ წარმოადგენს მომსახურების ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4.3. საკომუნიკაციო ენა: მომსახურების ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

5. მომხარებლის ანგარიში

5.1. ანგარიშის დაცვა. მომხმარებლის ანგარიშზე წვდომა დაცულია მომხმარებლის სახელითა და პაროლით. თქვენ ეთანხმებით, რომ თქვენი შესვლის მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვენს ან ჩვენთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა პლატფორმებში შესასვლელად. თქვენ ვალდებული ხართ შეინარჩუნოთ კონფიდენციალურობა თქვენს მომხმარებლის ანგარიშზე წვდომისათვის აუცილებელ ინფორმაციასთან დაკავშირებით და გააცნობიეროთ, რომ ჩვენ არ ვართ პასუხისმგებელი თქვენ მიერ ამ ვალდებულების დარღვევაზე.

5.2. უფლების დაკავება: ჩვენ შეგვიძლია აღვკვეთოთ თქვენი წვდომა მომხმარებლის ანგარიშთან, განსაკუთრებით მაშინ თუ თქვენ დაარღვევთ მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. მათ შორის, გამოყენების შესახებ წესებს.

6. მომსახურების ხანგრძლივობა

6.1. სერვისის მიწოდების შეუძლებლობა. შესაძლებელია ჩვენ ვერ შევძლოთ თქვენთვის სერვისის მოწოდება, თუ ეს გამოწვეულია თქვენი, ან ნებისმიერი სხვა პირის ქმედების გამო, ჩვენ ვერ უზრუნველვყოფთ სერვისის მოწოდებას იმ შემთხვევაში, თუ გაითიშა ელექტრო-ენერგია, ან მონაცემთა ქსელი, ან დადგა სხვა შემთხვევები, რომლებიც გამოწვეულია მესამე პირის ან ფორს-მაჟორული გარემოების გამო.

6.2. სერვისის გათიშვა. მომსახურების მიწოდების დროს შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სერვისის გათიშვას, დროებით შეზღუდვას, მომსახურების შეფერხებას ან ხარისხის გაფუჭებას. თქვენ მიერ სერვისში შენახული ინფორმაცია შეიძლება არ იყოს ჩვენ მიერ სარეზერვო ასლზე შენახული და იგი შეიძლება იყოს დაზიანებული ან სხვაგვარად გაუარესებული.

6.3. მომსახურების შეზღუდვის ხარისხი. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი (i) კომპიუტერული

პროგრამების ნებისმიერ გაუმართაობაზე, რომელიც დაკავშირებულია აპლიკაციასთან (ii) შეცდომებზე ან ვირუსებზე, რამაც გამოიწვია მონაცემების დაკარგვა, (iii) თქვენი კომპიუტრული აღჭურვილობის სხვაგვარ დაზიანებაზე, ან მობილური ტელეფონის ან მობილური მოწყობილობის, ან პროგრამული უზრუნველყოფის დაზიანებაზე, (iv) შეცდომებზე (მათ შორის შეცდომები, რომლებიც დაშვებულია მონაცემთა წარდგენისას, წარმოდგენილ მონაცემებში და შედეგებში) და (v) თქვენ ნებისმიერი მცდელობაზე, გამოიყენოთ აპლიკაცია იმ მეთოდებით, საშუალებებით ან გზებით, რომლებიც ჩვენ მიერ არ არის რეკომენდირებული. ჩვენ ვიტოვებთ უფლებას შევაჩეროთ, შევცვალოთ, წავშალოთ და/ან დავამატოთ აპლიკაცია ჩვენი შეხედულებისამებრ და კანონით ნებადართულ შემთხვევებში. ასევე, ვიტოვებთ უფლებას, პერიოდულად შევაჩეროთ ჩვენი აპლიკაციის გამოყენება. ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი რაიმე მსგავს ქმედებებზე.

6.4. შეცდომები. თქვენ თანახმა ხართ, შესაძლებლობისთანავე შეგვატყობინოთ, რაიმე შეცდომის შესახებ თქვენს ანგარიშთან დაკავშირებით აპლიკაციაში ან აპლიკაციაში წარმოდგენილ ნებისმიერ ინფორმაციასთან დაკავშირებით (რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ისეთი ინფორმაციით, როგორიცაა რაიმე არასწორი გაანგარიშება, მცდარი წარმოდგენა, არასწორი გადახდები, საკომისიო, ბონუსები ან გადახდა, ან ნებისმიერი ვალუტის კონვერტაცია.)

6.5. პასუხისმგებლობის შეზღუდვა. ჩვენ (მათ შორის ჩვენი ოფიცრები, დირექტორები, აგენტები და თანამშრომლები) და ჩვენი შვილობილი კომპანიები არ ვიქნებით პასუხისმგებელი თქვენ წინაშე კონტრაქტით, დელიქტით (მათ შორის დაუდევრობით) ან სხვაგვარად რაიმე პირდაპირი, არაპირდაპირი, შემთხვევითი, თანმიმდევრული, სპეციალური, სადამსჯელო ან სამაგალითო ზიანისათვის, რომელიც წარმოიქმნება მომსახურების ხელშეკრულებიდან ან თქვენ მიერ აპლიკაციის გამოყენების დროს. მათ შორის, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ზიანი არის მონაცემთა, მოგების, შემოსავლების, ბიზნესის, შესაძლებლობების, რეპუტაციის დაკარგვა ან შეფერხება. ამასთან, არ ანაზღაურდება არანაირი დანაკარგი, რომელიც ვერ იქნება წინასწარ განჭვრეტადი ჩვენ მიერ.

6.6. ანაზღაურება. აპლიკაციაში არსებული ინფორმაცია მოწოდებულია ისე, როგორც არის და თქვენ თანახმობას აცხადებთ, რომ აღნიშნული გვიხსნის ყველანაირ პასუხისმგებლობას, აგინაზღაუროთ ნებისმიერი ზიანი, რომელიც დამდგარია თქვენ მიერ აპლიკაციის გამოყენებასთან ან/და ამ აპლიკაციაში განთავსებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით. 6.5 პუნქტის

ზემოთ მოცემული დებულებების მიუხედავად, ჩვენი პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული მაქსიმალური ზომით.

7. სერვისის გამოყენება

7.1. კონტენტის პერსონალიზაცია: თქვენ ხართ უფლებამოსილი მოახდინოთ კონტენტის პერსონალიზება თქვენი პრეფერენციების შესაბამისად, მაგრამ მხოლოდ სერვისის მიერ შემოთავაზებული პარამეტრების საფუძველზე.

7.2. არასასურველი აქციები: მონაცემთა დაცვის, ინფორმაციის, კიბერ-უსაფრთხოებისა და თაღლითობის თავიდან აცილების მოთხოვნების გათვალისწინებით, თქვენ პირდაპირ გეკრძალებათ რაიმე ინფორმაციის გამოქვეყნება ან ჩვენს კლიენტებთან დაკავშირება იმ მიზნით, რათა შესთავაზოთ ან მოახდინოთ რაიმე შეთავაზების, პროდუქციის ან ობიექტის რეკლამირება აპლიკაციაში.

7.3. თაღლითობისა და შევიწროების საწინააღმდეგო პოლიტიკა: ჩვენ გვაქვს ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა აპლიკაციის შიგნით შეუსაბამო და თაღლითური საქმიანობის მიმართ. თუ ჩვენი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით, აღმოჩნდება, რომ თქვენ ცდილობდით ჩვენს ან/და აპლიკაციის მომხარებლების მოტყუებას რაიმე გზით, ჩვენ ვიტოვებთ უფლებას შევაჩეროთ და/ან დავხუროთ თქვენი ანგარიში და/ან აგიკრძალოთ აპლიკაციაზე წვდომა. განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ჩვენ არ ვიქნებით პასუხისმგებელი კანონმდებლობით ნებადართულ არცერთ მოქმედებაზე.

8. მხარეთა სხვა უფლებები და მოვალეობები

8.1. დავის გადაწყეტა: მომხარებლის საჩივრები გვეგზავნება ელექტრონულ მისამართზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში (იხ. მუხლი 11.6). საჩივრის განხილვის შესახებ ინფორმაცია ჩვენ მიერ გამოგზავნილი იქნება მომხმარებლის მისამართზე.

8.2. სამომხმარებლო დავების სასამართლოს გარეშე გადაჭრა. მომსახურების ხელშეკრულებიდან გამომდინარე სამომხმარებლო დავების სასამართლოს გარეშე გადაწყვეტისთვის კომპეტენტური ორგანო შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე

https://ec.europa.eu/consumers/odr/main/?event=main.adr.show2 . დავების გადაწყვეტის ონლაინ პლატფორმა, რომელიც რომელიც განთავსებულია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე http://ec.europa.eu/consumers/odr, შეიძლება გამოყენებულ იქნას თქვენსა და ჩვენს შორის მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე წარმოქმნილი დავების მოგვარების მიზნით.

8.3. მომხმარებელთა საკონტაქტო წერტილი: საკონტაქტო წერტილი ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს 2013 წლის 21 მაისის 524/2013 რეგულაცია (EU) No524/2013-ის შესაბამისად სამომხმარებლო დავების ონლაინ დავების გადაწყვეტის შესახებ, ასევე (EC) No 2006/2004 რეგულაციისა და 2009/22/EC დირექტივის შესწორებები (სამომხმარებლო დავების ონლაინ ფორმატში გადაწყვეტის შესახებ რეგულაცია) შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: https://ec.europa.eu/info/live-work-travel-eu/consumer-rights-and-complaints/resolve-your-consumer-complaint/ european -consumer-centres-network-ecc-net_en.

8.4. ბიზნესის ავტორიზაცია: ჩვენ ვართ უფლებამოსილნი, განვახორციელოთ ბიზნეს საქმიანობა ჩეხური სავაჭრო ლიცენზიის ქვეშ. ჩვენს საქმიანობაზე კონტროლი განხორციელდება ჩეხური კომპეტენტური ორგანოების მიერ მათი უფლებამოსილების ფარგლებში. პერსონალური მონაცემების დაცვის სფეროზე ზედამხედველობას ახორციელებს ზედამხედველობის ორგანო ევროკავშირის წევრ იმ ქვეყანაში, სადაც მდებარეობს თქვენი ჩვეულებრივი საცხოვრებელი, სამუშაო ადგილი ან სავარაუდო სამართალდარღვევის ადგილი.

8.5. ნაკლთან დაკავშირებული საჩივრები: მხარეთა უფლებები და მოვალეობები რომლებიც უკავშირდება ნაკლთან დაკავშირებულ ჩვენს პასუხისმგებლობას რეგულირდება ზოგადი კანონმდებლობით. თქვენ შეიძლება გამოიყენოთ ჩვენი ვალდებულებების დარღვევის შედეგად წარმოშობილი თქვენი უფლებები, ჩვენს რეგისტრირებულ მისამართზე ან ელექტრონულ მისამართზე კომუნიკაციის საშუალებით (იხილეთ მუხლი 11.6).

8.6. კომუნიკაცია მხარეთა შორის: თუ მხარეთა შეთანხმებით სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული, ყველა სახის კომუნიკაცია რომელიც უკავშირდება მომსახურების ხელშეკრულებას, მეორე მხარეს გადაეცემა ტექსტური ფორმით, ელექტრონული ფოსტის საშუალებით. ასევე, თქვენ მიმართ მომსახურების გაწევა მოხდება მომხმარებლის მისამართზე ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

9. მონაცემთა დაცვა

9.1 ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის (EU) 2016/679 რეგულაციის“ (რომელიც აუქმებს 95/46/EC დირექტივას) მე-13 მუხლის ფარგლებში, ჩვენ ვასრულებთ ჩვენს საინფორმაციო ვალდებულებას დოკუმენტის საშუალებით, რომელიც გამიზნულია "პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაციის“ მიწოდებისათვის. ("კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინება").

9.2 აღნიშნული წესების წაკითხვა და გააზრება უნდა მოხდეს ჩვენ მიერ გამოგზავნილ კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინებასთან ერთად აქ.

10. მომსახურების ხელშეკრულების ვადა

10.1. ხელშეკრულებიდან გასვლა: გარდა იმ შემთხვევაისა, როდესაც ხელშეკრულება ვერ შეწყდება, თქვენ, მომხარებელს, გაქვთ უფლება გახვიდეთ მომსახურების ხელშეკრულებიდან ხელშეკრულების დადებიდან 14 (თოთხმეტი) დღის განმავლობაში. ამ შემთხვევაში ხელშეკრულებიდან გასვლისას უნდა იხელმძღვანელოთ ჩვენ მიერ შემოთავაზებული მოდელით.

10.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა: მომსახურების ხელშეკრულება მოქმედებას იწყებს მისი აღსრულებისას. მომსახურების ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით.

10.3. ხელშეკრულების შეწყვეტა: თქვენ შეგიძლიათ შეწყვიტოთ მომსახურების ხელშეკრულება ნებისმიერ დროს მომხარებლის ანგარიშის წაშლით. მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა, ასევე, შესაძლებელია თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, წავშალოთ თქვენი პერსონალური მონაცემები, GDPR-ის მოთხოვნების შესაბამისად.

10.4. ხელშეკრულების შეწყვეტა ჩვენ მიერ: იმ შემთხვევაში თუ თქვენ დაარღვევთ მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისიწნებულ რაიმე ვალდებულებას (მათ შორის წესებს გამოყენების შესახებ) ან სხვა რომელიმე სამართლებრივად შემზღუდავ რეგულაციას ან სხვა შემთხვევებში, ჩვენ შეგვიძლია შევწყვიტოთ მომსახურების ხელშეკრულება. აღნიშნული მუხლის საფუძველზე მომსახურების

ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება ელექტრონული ფოსტის ანგარიშზე მიღების შემდეგ. თუ მხარეთა შორის არ არსებობს სხვაგვარი შეთანხმება, მომსახურების შესახებ ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მას შემდეგ რაც შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება შევა ძალაში.

11. დასკვნითი დებულებები

11.1. მოქმედი სამართალი: მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ურთიერთობა რეგულირდება ჩეხური სამართლის მიხედვით. მოქმედი სამართლის არჩევა არ გართმევთ იმ უფლებების დაცვის საშუალებას, რომლის მოქმედებაც ვერ გამოირიცხება ხელშეკრულებით და რომელიც მოქმედი სამართლის არ არჩევის შემთხვევაში იმოქმედებდა ევროპული პარლამენტის No 593/2008 რეგულაციის (EC) 6.1 მუხლის და ევროპის საბჭოს 2008 წლის 17 ივნისის რეგულაციის ფარგლებში სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს მოქმედი სამართლის შესაბამისად. (რომი 1).

11.2. სასამართლო იურისდიქცია: ჩვენ ვთანხმდებით, რომ განჯსად სასამართლოებს წარმოადგენს ჩეხეთის რესპუბლიკა სასამართლოები და მოქმედია აღნიშნული რესპუბლიკის იურისდიქცია.

11.3. გამოყენების შესახებ წესების ცალმხრივი ცვლილება: გამოყენების შესახებ წესების ცვლილება ჩვენ მიერ დასაშვებია თუ აღნიშნული ცვლილების განხორციელება ნებადართულია მოქმედი კანონმდებლობით და თუ მიგვაჩნია, რომ ასეთი ცვლილებები დაფუძნებულია მართებულ და დასაბუთებულ მიზეზებზე. ხელშეკრულებაში ცალხმრივი ცვლილებების განხორციელების შესახებ ინფორმაციას მიიღებთ ელექტრონული შეტყობინებით, რომელსაც მიიღებთ მომხარებლის ანგარიშზე ან აპლიკაციაში განთავსებული "Dialog window"-ის საშუალებით. ხელშეკრულების შეცვლილი პირობები ძალაში შევა იმ თარიღით, რომელიც მითითებულია ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიღებულ ან აპლიკაციაში განთავსებული „Dialog window"-ით მიღებულ შეტყობინებაში, მაგრამ არა ოცდაათ (30) დღეზე ადრე ამგვარი ცვლილების განხორციელების შესახებ შეტყობინების მიღების მომენტიდან. თქვენ შეგიძლიათ უარი განაცხადოთ გამოყენების შესახებ წესებში შესულ ცვლილებებზე იქამდე სანამ ისინი შევა ძალაში. ეს ზიანს არ აყენებს წინამდებარე გამოყენების წესების 11.4 პუნქტის დებულებებს.

11.4. თანხმობა ცვლილების განხორციელების შესახებ გამოყენების შესახებ წესებში: გამოყენების შესახებ წესების 11.3 მუხლის თანახმად, ცვლილება გამოყენების

შესახებ წესებში შეიძლება განხორციელდეს თქვენი აშკარად გამოხატული თანხმობის გარეშეც. გამოყენების შესახებ წესების ვერსიაზე აშკარა თანხმობის მიცემით, ახალი ვერსია ხდება მომსახურების ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი შესაბამისი თარიღიდან. ეს აშკარა თანხმობა შეიძლება გაიცეს აპლიკაციში განთავსებული „Dialog window"-ის გამოყენებით ან სხვა შესაბამისი საშუალებით.

11.5 ხელშეკრულებაზე ხელმისაწვდომობა: მომსახურების ხელშეკრულება, მათ შორის, გამოყენების შესახებ წესები ჩვენ მიერ გადატანილია არქივში ელექტრონული ფორმით და არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

11.6 ჩვენი კონტაქტი: ჩვენთან საკონტაქტო დეტალები არის შემდეგი: ჩაბარების მისამართი: Livesport s.r.o., Bucharova 2928/14a, Stodůlky, 158 00 Praha 5, Aspira Business Centre, ჩეხეთის რესპუბლიკა; ელექტრონული ფოსტა info@livesport.eu.

11.7 ხელშეკრულების გადაცემა: ჩვენ ვთანხმდებით, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, სრულად ან ნაწილობრივ შესაძლებელია გადაეცეს ნებისმიერ მესამე პირს.

პრაღაში 2023 წლის 1 აპრილს

Livesport s.r.o.

Signed by Livesport.s.r.o.
2023-04-01 12:00:00

დანართი N1 გამოყენების პირობები - ხელშეკრულებიდან გასვლის ფორმა

გთხოვთ შეავსოთ ფორმა და დაგვიბრუნეთ უკან კანონით განსაზღვრულ ვადაში, თუ გსურთ ხელშეკრულებიდან გასვლა.

ადრესატი (ოპერატორი):	Livesport s.r.o. რეგისტრაციის ადგილი: Bucharova 2928/14a, Stodůlky, 158 00 Praha 5, Aspira Business Centre, ჩეხეთის რესპუბლიკა კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: 274 33 722
თქვენ გახვალთ მომსახურების ხელშეკრულებიდან, რომელიც დადებულია:	
თქვენი სახელი და გვარი :	
თქვენი რეზიდენცია:	
თქვენი რეგისტრირებული ელექტრონული ფოსტა:	
თარიღი:	
თქვენი ხელმოწერა (თუ ფორმას ავსებთ მატერიალურ ქაღალდის ფორმით)	